



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1029
25/05/2018

ქალაქი ბათუმი

1029-05-4-201805251307



მადონა სამნიძეზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტზე შესყიდვების განყოფილების II რანგის უფროსის დროებით მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9-ე პუნქტისა და კახაბერ ფუტკარაძის 2018 წლის 24 მაისის №1484-05 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მადონა სამნიძეს - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს დაეკისროს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების II რანგის უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, 2018 წლის 25 მაისიდან კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატის დანიშვნამდე.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს შრომის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა